



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

[www.ozurgeti.gov.ge](http://www.ozurgeti.gov.ge)

ქ.ოზურგეთი

N 50

10/04/2017

50-03-4-201704101235



**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და  
საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა პრემირების შესახებ

*საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის  
კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“  
საქართველოს კანონის 37-ე მუხლის და „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის  
განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15  
ივლისის N449 დადგენილების შესაბამისად,*

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :**

1. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, ქალაქ  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებს და  
საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეებს მიეცეთ შრომითი გასამრჯელოს

სახით პრემია ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს (50%) ოდენობით დანართის შესაბამისად;

2. დაევალოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა